



საფინანსო  
ანალიტიკური  
სამსახური

---

## სამოქმედო გეგმა 2013

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

თბილისი 2013



საფინანსო  
ანალიტიკური  
სამსახური



## სარჩევი

I. შესავალი.....	3
II. მისია.....	4
III. 2013 წლისთვის დაგეგმილი პროექტები და აქტივობები.....	5
IV. ინფორმაციული უსაფრთხოება.....	10
V. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.....	10
VI. ინფრასტრუქტურის განვითარება .....	11





## I. შესავალი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურის 6 დეპარტამენტში, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუშაობს 86 ადამიანი.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სამსახურის 2013 წლის სამოქმედო გეგმას.





## II. მისია

სამსახურის ძირითად მისიას წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს და მისი სტრუქტურების საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების მხარდაჭერა და მათი განვითარება. მხარდაჭერა და განვითარება მოიცავს საბიუჯეტო პროცესის და საგადასახადო პოლიტიკის საინფორმაციო სისტემების, ასევე, სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის სრულყოფას, განახლებას და თანხლებას.





### III. 2013 წლისთვის დაგეგმილი პროექტები და აქტივობები

#### საფინანსო სისტემები

2011 წელს დაიწყო სახელმწიფო ხაზინის და სამინისტროს საბიუჯეტო და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტების ელექტრონული სისტემების არსებული ფუნქციონალის გაფართოება, რომლის ფარგლებშიც მოხდა ბიუჯეტირებისა და ხარჯვის, ასევე, ვალებისა და სესხების მართვის პროცესების გაერთიანება სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიან სისტემაში.

#### **eBudget - ბიუჯეტის ელექტრონული დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზაციის სისტემა**

2013 წლის 8 იანვრიდან დაგეგმილია სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის პორტალებზე მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრირებული ვერსიის გაშვება რეალურ გარემოში.

2012 წელს დასრულდა ცვლილების ცნობების კალათის ამოცანა, რომლის ფარგლებში ხორციელდება ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების შექმნა ბიუჯეტის მართვის პორტალების რეალურ გარემოებში, ცნობების თავმოყრა კალათაში, კალათის ვალიდირება და დამტკიცება. ასევე რეალიზებულია კვარტალური განწერის რეპორტების ნახვა ცალკეული კალათებისათვის როგორც კალათის ფარგლებში, ასევე დამტკიცებული კვარტალური ფაილის მონაცემების გათვალისწინებით. ამ კომპლექსური სერვისის გაშვება დაგეგმილია 8 იანვრისთვის.

2012 წელს დაიგეგმა და დასრულდა სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების სისტემების პროექტები. სისტემები გაშვებულია რეალურ გარემოში. 2013 წლისათვის დაგეგმილია სისტემების ფუნქციონალის გაფართოება. რეალიზების პროცესშია გლობალური რეპორტირების მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული ფაილების ნაერთებიდან ჯამური და დეტალური (განმკარგავების მიხედვით ჩაშლილი) ინფორმაციის ამოღება ერთ დოკუმენტში. ასევე 2013 წელს დაგეგმილია დამატებითი უფლებების შექმნა, რომლების გამოყენებითაც საჭიროების შემთხვევაში მოხდება სხვა სისტემებიდან სერვისით მიღებული ინფორმაციის დანიშნულებისამებრ კორექტირება.

2013 წლისთვის დაგეგმილია ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მხარჯავებისა და ადმინისტრირების პორტალების რეფაქტორინგი. კერძოდ, მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია და სისტემის კლიენტის მხარის ვიზუალური სრულყოფა. რეფაქტორინგის ფარგლებში მოხდება ასევე





ფონდების დინამიზირება. რეფაქტორინგი აუცილებელია იმისათვის, რათა წარმატებით მოხდეს დაგეგმილი სისტემური დანამატების რეალიზება და არსებული პროცესების ოპტიმიზაცია.

2013 წლისთვის დაგეგმილია ვირტუალური ნაერთების ამოცანის შესრულება სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში. სერვისის ფარგლებში მოხდება ბიუჯეტის ნაერთი ვერსიების მოდელირება, კერძოდ ხარჯთაღრიცხვისა და სტრუქტურული ცნობების ვირტუალურ გარემოებში შექმნა სისტემის პორტალებში, ფაილების დაგენერირება გარემოებზე დაყრდნობით და ნაერთების აწყობა რეპორტინგის ვალიდაციებისა და სხვა მექანიზმებით.

2013 წლისთვის დაგეგმილია მომუშავეთა რიცხოვნობების ცვლილების ცნობების ამოცანის დასრულება. სერვისის ფარგლებში მოხდება ცვლილების ცნობის მომზადება სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ცნობის ვიზირება უფლებამოსილი პირების მიერ და დამტკიცება. დამტკიცების შემდეგ მოხდება ცნობის ავტომატური გადაგზავნა ხაზინის ელექტრონულ სისტემაში შემდგომი დამუშავებისათვის.

2013 წლისთვის დაგეგმილია ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების კონსოლიდაციის მოდულის შექმნა.

### **eTreasury - ხაზინის ელექტრონული მართვის და პროცესების ავტომატიზაციის სისტემა**

2012 წლის ბოლოს დასრულდა მუშაობა ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაციაზე, რომლის მიზანია სახელმწიფო მხარჯავი ორგანიზაციების ერთიანი ელექტრონული მთავარი წიგნის მიღება. არსებული ამოცანის ფარგლებში განხორციელდა ხელფასების გაცემის და სახელფასო მობრუნებების ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაცია და სამუშაო რეჟიმში გაშვება. 2013 წელს არსებული სისტემის განვითარების, მხარდაჭერისა და მიმდინარე ამოცანების შესრულების გარდა იგეგმება არსებული შესყიდვების პროცესის მოდერნიზაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების შესყიდვის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების ავტომატიზაცია.

### **eDMS – ვალის მართვის სისტემა**

სისტემის მიზანი არის სახელმწიფოს მიერ მიღებული და გაცემული სესხების და გრანტების აღწერა, მომსახურება, ერთ სისტემაში კონსოლიდირება და სხვა საფინანსო სისტემებთან სინქრონიზაცია. სისტემა სრულად მოიცავს ამჟამად სამინისტროში ფუნქციონირებადი სისტემების DMNAT-ის, DMFAS-ის და საგარეო პორტალის ფუნქციონალს. უკვე მოხდა ნახსენები სისტემების ნაწილობრივი



ჩანაცვლება და მიმდინარეობს მუშაობა სისტემებში არსებული მონაცემების eDMS-ის სისტემაში გადმოატანაზე. 2013 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია ყველა სისტემის სრული ჩანაცვლება eDMS-ით.

2011-2012 წლებში განხორციელდა სინქრონიზაცია ბიუჯეტირების ელექტრონულ სისტემასთან, რომლის მეშვეობით ელექტრონულად ხდება გაგზავნა ბიუჯეტში გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების და ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების თანხების. 2013 წელს მოხდება ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული სხვა პროცესების ავტომატიზაცია. კერძოდ, დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულ საბიუჯეტო მიზნების პროექტების თანხების ცვლილების პროცესის ავტომატიზირება, ელექტრონული ცვლილების ცნობების მეშვეობით.

2013 წელს იგეგმება სისტემაში ახალი ფუნქციონალის დამატება, რომლითაც მოხდება საინვესტიციო პროექტის ფარგლებში ბიუჯეტიდან (სახელმწიფო ან ადგილობრივი) გახარჯული თანხების აღრიცხვა და მართვა.

2012 წელს სისტემას დაემატა ახალი ელექტრონული სერვისი, რომლითაც შესაძლებელია საშინაო სესხის ფარგლებში სესხის მიმღების მიერ განხორციელებული გადახდების ნახვა და მართვა. 2013 წელს იგეგმება არსებული ფუნქციონალის გაფართოება და მორგება საინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების ფარგლებში განხორციელებული ჩარიცხვების სანახავად და სამართავად.

2012 წლიდან დაიწყო ფინანსური მოდელირების ფუნქციონალზე მუშაობა, რომლის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა სახის ფინანსური ინფორმაციის მიღება საშინაო ვალის ჭრილში. 2013 წელს იგეგმება არსებული ფუნქციონალის გაფართოება და საგარეო დაფინანსების წყაროს გათვალისწინება.

## პორტალები / ელექტრონული სისტემები

### **eDocument - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა**

- სისტემის დანერგვა არანაკლებ 10 სახელმწიფო ორგანიზაციაში; სისტემაში რამოდენიმე ასეული ახალი მომხმარებლის (end-user) დამატება
- ყველა ორგანიზაციასთან, რომლებიც სისტემას იყენებდნენ ხელშეკრულების გარეშე, ხელშეკრულების გაფორმება

### **eAuction - ელექტრონული აუქციონი**

- 2012 წლის მეორე ნახევარში დანერგილი ვერსიის მხარდაჭერა და განვითარება
- მოქმედი ვერსიის ოპტიმიზაცია და ფუნქციონალური განვითარება

### **eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა**





- სისტემის ინტეგრაცია მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (ePassport), რის მეშვეობითაც განხორციელდება ახალი მომხმარებლის დარეგისტრირება და უფლებების განსაზღვრა
- სისტემის ფუნქციონალის შემუშავების დასრულება და მისი პილოტური დანერგვა და ტესტირება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და საჯარო სამსახურის ბიუროში

**ზოგადი ტექნიკური მხარდაჭერა (მომხმარებელთა კონსულტაცია, სწავლება)**

2013 წელს ტექნიკური მხარდაჭერის ძირითადი ფუნქცია იქნება:

- eTreasury-ს ახალი ვერსიისთვის ფართომასშტაბიანი ტრენინგების და კონსულტაციების ჩატარება მხარჯავი დაწესებულებებისათვის
- ცხელი ხაზის სერვისის შემდგომი სრულყოფა

## ვებგვერდები

2012 წელს დაიწყო და 2013 წელსაც გაგრძელდება შემდეგი ვებგვერდების შემუშავება, მხარდაჭერა და/ან ჰოსტინგი:

- [www.mof.ge](http://www.mof.ge) - ფინანსთა სამინისტრო; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.is.ge](http://www.is.ge) - საგამოძიებო სამსახური; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.ia.ge](http://www.ia.ge) - შიდა აუდიტი; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.fas.ge](http://www.fas.ge) - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.menr.gov.ge](http://www.menr.gov.ge) - ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- [www.mofacademy.ge](http://www.mofacademy.ge) - ფინანსთა სამინისტროს აკადემია; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [pay.mofacademy.ge](http://pay.mofacademy.ge) - ფინანსთა სამინისტროს აკადემია სასწავლო კურსების არჩევისა და გადახდის სისტემა.
- <http://www.mofacademy.ge/Questionnaire> - ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კითხვარები: კითხვარი შემსყიდველებისთვის“ და „კითხვარი მიმწოდებლებისთვის“.
- <http://tna.mfg.ge/> - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოდული - შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.georgia.gov.ge](http://www.georgia.gov.ge) - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- [accountant.gov.ge](http://accountant.gov.ge) - სახელმწიფო ხაზინის სახელმწიფო ფინანსური მართვის რეფორმის პორტალი - შემუშავება - მხარდაჭერა.
- ACMS დავების განხილვის სისტემა - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- FAS შიდა კორპორატიული სივრცე - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- <http://imof/hr/> - თანამშრომელებისა და ხელმძღვანელების შეფასების მოდული -შემუშავება - მხარდაჭერა.







სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შევსების მოდული - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.

### პროცესების ITIL სტანდარტების დანერგვა

კონფიგურაციის და სიმძლავრეების მართვის სისტემის დანერგვის დასრულება (MS System Center Configuration Manager)

- 2013 წელს დასრულდება სერვერების, კომპიუტერების და ქსელის ავტომატური ინვენტარიზაცია, კონფიგურაციების და ტოპოლოგიის ვიზუალიზაცია.

ერთიანი მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა (MS System Center Operations Manager)

2013 წელს დასრულდება ჰეტეროგენულ სისტემებში რესურსების ერთიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვა.

ვირტუალური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემის მოდერნიზაცია

- 2013 წელს განხორციელდება ვირტუალური სერვერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემის მოდერნიზაცია, რაც სისტემურ ადმინისტრატორებს მისცემს საშუალებას ერთი წერტილიდან მოახდინონ ყველა ვირტუალური რესურსის მონიტორინგი, პრობლემებზე რეაგირება და ოპტიმიზაცია.

IT სერვისის მიწოდების ღრუბლოვანი მოდელის დანერგვა.

- სერვისების მიწოდების თანამედროვე ღრუბლოვანი სისტემაზე (Cloud Computing) გადასვლა. VMWare vCloud-ის დანერგვა და IaaS მიწოდება (IaaS - Infrastructure as a Service; ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი).





#### IV. ინფორმაციული უსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოების აღმასრულებელი სტრუქტურების შექმნა სამინისტროში ინფრასტრუქტურული, ქსელური და პროგრამული უსაფრთხოების სისტემების დანერგვა. ქსელური მონიტორინგის, და უსაფრთხოების მენეჯმენტის ერთიანი სისტემის დანერგვა.

#### V. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

2013 წლის განმავლობაში განხორციელდება ტრენინგების პროგრამა, რომელიც სამსახურის მუშაობის ძირითად მიმართულებებს მოიცავს. ტრენინგების მიზანია სპეციალისტების და მენეჯმენტის კვალიფიკაციის ამაღლება და თანამშრომელთა სერტიფიცირება.

ტრენინგები დაგეგმილია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

**მენეჯმენტი, პროექტების მენეჯერები (7 თანამშრომელი):**

1. ITIL Intermediate Courses
2. IT პროექტების მენეჯმენტი

**პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერები (15 თანამშრომელი - 3 ტრენინგ-მოდული):**

Microsoft-ის ანალიტიკური სერვისები, რეპორტინგის სერვისები, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების რთული საკითხები, აპლიკაციების არქიტექტურა.

**სისტემური ადმინისტრატორები (7 თანამშრომელი - 7 ტრენინგ-მოდული):**

1. უსაფრთხოების სისტემები
2. Microsoft System Center - პროცესების და ინფრასტრუქტურის მართვის სისტემები.

**მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორები (3 თანამშრომელი - 2 ტრენინგ-მოდული)**

SQL მონაცემთა ბაზების ანალიტიკა, რეპორტინგი.

**მხარდაჭერის, ტესტირების და დანერგვის სპეციალისტები (14 კაცი - 2 სახის ტრენინგ-მოდული)**

სამომხმარებლო ოპერაციული სისტემები, ტესტირების ტექნოლოგიები.





## VI. ინფრასტრუქტურის განვითარება

### DR ცენტრი: ტესტირება და საბოლოო გაშვება

- ძირითად და სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტრებს (DR) შორის ავტომატური გადართვის და სერვისების აღდგენის მექანიზმების გამართვა და ტესტირება. DR ცენტრის ამუშავება გაუთვალისწინებელი გათიშვების ან სერვისის სხვა დარღვევების შემთხვევაში სახელმწიფო ფინანსური სისტემის, პრაქტიკულად, შეუფერხებელს მუშაობას გახდის შესაძლებელს.

### სერვერული და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და გაძლიერება.

- არსებული სისტემების გაძლიერება, წარმადობის გაზრდა და სუსტი რგოლების მოდერნიზაცია, მონაცემთა ძველი სისტემების ახლით ჩანაცვლება, ბლემი პლატფორმის საერთო სიმძლავრის გაზრდა.

### ძირითადი მონაცემთა დამუშავების ახალი ცენტრის დაგეგმვა

- ახალი მონაცემთა ცენტრის დაგეგმვა. პროექტირებისას Tier-3 ცენტრის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება, გაზრდილი სერვისების მდგრადობისა და მაღალი ხელმისაწვდომობის მაქსიმალიზებისთვის.

